# დღეს სეულში საზეიმოდ გაიხსნება ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშები



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 სექტემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 180 (9847) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გახსნის წინ

⊙ **სსრ კავშირის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე მარატ გრამოვი ერთხმად იქნა არჩეული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად. გრამოვი 60 წლისაა. სპორტულ მოძრაობას სსრ კავშირში 7 წელია ხელმძღვანელობს. წარსულში ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა, ეკავა პარტიული და სახელმწიფოებრივი თანამდებობები, არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

⊙ **ჩვენი** ქვეყნის სახელმწიფო დროშას XXIV ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე წაიღებს სუპერმძიმეწონის მოჭიდავე, ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე კარელინი.

⊙ **როგორც** ცნობილია კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრი არვიდას საბონისი ტრავმის გამო მთელი 8 თვის განმავლობაში არ გამოსულა მოედანზე. როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე გომელსკიმ განაცხადა იგი განიკურნა და მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიური ტურნირის ყველა ძირითად მატჩში. მათ შორის იუგოსლავიელებთან სასტარტო შეხვედრაში.

## ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო მემორიალი

# ტალის პირველი დამარცხება

**ვიქტორ** გოგლიძის ტურნირის ყოველი ტურის შემდეგ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ყოველი პარტიის შედეგი და ამიტომაც თითოეული მონაწილე ცდილობს მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა და უნარი. ალბათ, ამის გამოც არის, რომ ყაიმების რიცხვი არც ისე დიდია.

ერთობ საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა VI და VII ტურის შეხვედრები.

VI ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა ხარკოველმა საერთაშორისო ოსტატმა იგორ ნოვიკოვმა, რომელმაც შავი ფიგურებით დაამარცხა ინგლისელი საერთაშორისო ოსტატი სტიუარტ კონკუესტი.

მეტოქეებმა გაითამაშეს სლავური დაცვის ბოტვინიკის ვარიანტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ორმხრივი მწვავე თამაშით აღინიშნება ხოლმე. მე-11 სვლაზე ნოვიკოვმა ახალი გაგრძელება აირჩია. კრიტიკულ სიტუაციაში ინგლისელ მოჭადრაკეს მხედველობიდან გამორჩა მოწინააღმდეგის, ერთი შეხედვით, უბრალო, მაგრამ ძალზე ეფექტური სვლა და მძიმე პოზიცია მიიღო. ნოვიკოვმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

საინტერესო გამოდგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების ვალენტინ ლუკოვისა (ბულგარეთი) და მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ტალის შეხვედრა. მე-16 სვლაზე ბულგარელი საერთაშორისო ოსტატი b პაიკით ღრმად შეიჭრა მეტოქის ბანაკში. ამით მყისვე ისარგებლა „რიგელმა ჯადოქარმა“ და ინიციატივას დაეუფლა. ლუკოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დაიბნა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, რამდენიმე ზუსტი სვლით შეძლო პოზიციის გათანაბრება, გაცვალა ფიგურები და 27-ე სვლაზე აშკარად თანაბარ პოზიციაში მოწინააღმდეგენი დაზავდნენ.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: რომანიშინი-გუფელდი — 1:0, კოჟული-შნაპიკი — 0:1, გადაიდო პრანდშტეტერ-ზაიჩიკის პარტია, რომელშიც სპეციალისტების აზრით ყაიმია მოსალოდნელი.

VII ტურში პირველი დამარცხება იწვნია მსოფლიოს ექსჩემპიონმა მ. ტალმა კონკუესტთან შეხვედრაში.

მეტოქეებმა ესპანურ პარტიაში ჩიგორინის ვარიანტი გაითამაშეს. ტალმა შედარებით მშვიდი გაგრძელება აირჩია. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თეთრებმა თითქოს უპირატესობას მიაღწიეს, მათ ფიგურებს მეფის ფრთაზე აქტიური განლაგება იერიშის წამოწყების კარგ პერსპექტივას უქადდა. ტალი გადამწყვეტი იერიშის ძებნაში ცაიტნოტში მოექცა, გამორჩა ელემენტარული ტაქტიკური კომბინაცია, რის შემდეგაც უხარისხოდ დარჩა და მალე თავი დამარცხებულად სცნო.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ნოვიკოვი-კოჟული — 1:0, ზაიჩიკი-ლუკოვი — 0:1, უბილავა-რომანიშინი — 0,5:0,5, გუფელდი-პრანდშტეტერი — 0,5:0,5.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ოლეგ რომანიშინი — 5, ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი) — 4,5 (6 შეხვედრიდან); ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი) — 4 (6-დან), სტიუარტ კონკუესტი (ინგლისი), ელიზბარ უბილავა 3,5-3,5 (6-6-დან).

**ვასილ ვაშაკიძე.**



**სურათზე:** იგორ ნოვიკოვისა (სსრ კავშირი) და სტიუარტ კონკუესტის (ინგლისი) შეხვედრის მომენტი.

## ელვა-ინფორმაცია

**10,99! ასეთია საქართველოს ახალი რეკორდი 100 მეტრზე რბენაში; სწორედ ამ უმაღლესი შედეგით გაიმარჯვა თბილისელმა მძლეოსანმა მაია აზარაშვილმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაზე, რომელიც ვლადივოსტოკში გაიმართა სეულის ოლიმპიადის წინ. მაიას მიღწევა ერთ-ერთი საუკეთესოა წლევანდელ სპორტულ სეზონში სხვა მძლეოსანთა ნაჩვენებ შედეგებს შორის. მანვე მოიგო რბენა 200 მეტრზე — 22,52. ყველაფრიდან ჩანს რომ მაია აზარაშვილი სეულის ოლიმპიადას შესანიშნავად მომზადებული ხვდება.**

# ახალი შემადგენლობა

**სეული.** აქ გაიმართა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ასამბლეა, რომელზეც მოხდა ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა არჩევნები. ფედერაციის პრეზიდენტად მეოთხე ვადით არჩეულია მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი იური ტიტოვი (სსრ კავშირი). ვიცე-პრეზიდენტის პოსტს პირველად დაიკავებს ყველაზე ტიტულოვანი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ბორის შახლინი.

დებიუტანტები გამოჩნდნენ ტექნიკურ კომიტეტებშიც. მათ შორისაა ცნობილი კანადელი სპეციალისტი ჰარდი ფრანკი, ლიუდმილა ტურიშჩევა (სსრ კავშირი), ცვეტანა დიმოვა (ბულგარეთი) და ტერეს ოლივა (კუბა).

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა კომისიას გადამდგარი ჟანი რინალდის (საფრანგეთი) ნაცვლად სათავეში ჩაუდგა იტალიელი ეგლი აბრუცინი. ამ კომისიაში დაიწყებს მოღვაწეობას ცნობილი ტანმოვარჯიშე ირინა დერიუგინაც.

# 1994 წელი, ლილეჰამერი...

**სეული.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 94-ე სესიამ 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქად ნორვეგიის ლილეჰამერი (25 ათასი მაცხოვრებლით) დაასახელა. ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მით უფრო, რომ ლილეჰამერს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავდა სოფიის (ბულგარეთი), ანკორიჯის (აშშ, ალიასკა) და ესტერსუნდის (შვეცია) სახით.

არჩევნები სამ რაუნდად ჩატარდა. პირველსავე რაუნდში ბრძოლას გამოეთიშა სოფია, რაც არჩევნების მთავარი სენსაცია გახლდათ. ანკორიჯმა ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყვიტა. გადამწყვეტ რაუნდში ლილეჰამერს მხარი 45-მა დელეგატმა დაუჭირა, ესტერსუნდსკი — 39-მა.

მიმომხილველთა აზრით ლილეჰამერის მთავარი კოზირი ამ არჩევნებში ოლიმპიური ბაზების კომპაქტურობა იყო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ზამთრის თამაშები ზაფხულის ოლიმპიადებს შორის პერიოდში მოეწყოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა.

# ჩოგბურთელები კორტზე გამოდიან

**სეული.** სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ოლიმპიურ კორტებს და მას საკმაოდ „სწრაფს“ უწოდებენ. აქ პირველი ვარჯიში ჩაატარა სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა, ნატალია ზვერევას, ლარისა სავჩენკოსა და ლეილა მესხის შემადგენლობით. გუნდის მწვრთნელმა ოლგა მოროზოვამ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

— ქალთა ოლიმპიური ტურნირი გაცილებით უფრო ძლიერი იქნება შემადგენლობით, ვიდრე ვაჟებისა. ნავრატილოვას გარდა სეულში მსოფლიოს ყველა წამყვანი ოსტატი ჩამოვიდა შტეფი გრაფის მეთაურობით. ამერიკელი კრის ევერტი, რომელიც თავდაპირველად თამაშს არ აპირებდა, ახლა გულმოდგინედ ვარჯიშობს და საპრიზო ადგილზე გასვლას ვარაუდობს.

მწვრთნელის განცხადებით საბჭოთა ჩოგბურთელების მთავარი საზრუნავი ამჟამად აკლიმატიზაცია და კორტების მოსინჯვაა.

# სეულში გამგზავრების წინ

**ამ რეპორტაჟს სეულში გამგზავრების წინ გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციიდან გადმოგცემთ.**

„ლელო“ და „იზვესტია“ ბოლო დროს მეგობრულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. და აი, ახლაც „იზვესტიის“ დახმარებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება სეულიდან ოპერატიულად გადმოგცეთ ოლიმპიადის მასალები, რაც ერთდროულად გამოქვეყნდება როგორც „იზვესტიაში“, ისე „ლელოში“.

მაგრამ ეს მოხდება უახლოეს დღეებში. მანამდე კი, აი ამ წუთებში „იზვესტიის“ სპორტულ განყოფილებაში ხაზზეა სეული, მოდის ოპერატიული მასალები და ჩვენც სიამოვნებით გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ვისარგებლოთ დღევანდელი სტუმრობით და „ლელოს“ გადმოვცეთ სეულიდან მიღებული ახალი ამბები.

მაშ ასე, ოლიმპიურ პრეს-სოფელში, გადმოგვცემს „იზვესტიის“ კორესპონდენტი ვლადიმერ ნადეინი, 36 საცხოვრებელი კორპუსია, სადაც დაბინავდება 6096 ჟურნალისტი.

სეულის 100 000 ადგილიანი სტადიონი, რომელიც ოლიმპიადის მთავარი არენა იქნება და სადაც გაიხსნება და დაიხურება ოლიმპიური თამაშები, არქიტექტორ კიმ სუ გუნის ფანტაზიის ნაყოფია, მისი მშენებლობა დაჯდა 73 მილიონი დოლარი.

სულ თამაშებისთვის მზადაა 34 სასპარეზო არენა და 72 სავარჯიშო ბაზა. სპორტსმენები კმაყოფილნი არიან, ერთმანეთთან კარგადაა შერწყმული ოლიმპიური კომპლექსები და კულტურული ცენტრები.

კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გუშინ ეწვია საცხენოსნო სპორტულ პარკს. პარკში იგი არ შეუშვეს, რასაც ძალიან ნანობს, მაგრამ აჩვენეს მხედრების ოთახები ცხენების საავადმყოფო, ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე მოთავსებულია თერაპიული განყოფილება, რენტგენის კაბინეტი და საშხაპეები მერნებისათვის, მეორე სართული კი მომსახურე პერსონალს აქვს დათმობილი.

სეული თამაშების მოლოდინშია. და აი, ბოლო ინფორმაცია:

იხ. მე-4 გვ.

# ცხოვრებით ნაკარნახევი რეფორმა

**უკვე** რამდენიმე წელია საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატისადმი ორგანიზებული კონტროლი დაიკარგა და ამიტომაც ფაქტობრივად მასში მონაწილე გუნდების მფარველები მართავენ იმ პროცესებს, რომლებიც ჩვენი ფეხბურთის წინსვლის სამსახურში უნდა იდგეს. დრომ გვიჩვენა, რომ ბევრმა სერიოზულმა შეცდომამ და მართვის უკონტროლობამ, როგორც იტყვიან, ხერხემალში გატეხა ქართული ფეხბურთი, ჩვენი უმაღლესი და პირველი ლიგების კოლექტივები თავად იქცნენ საქართველოს პირველობისა და ოსტატთა II ლიგის გუნდებისთვის ფეხბურთელების მიმწოდებლად. ფაქტია, რომ ზუგდიდელი სოსო ჰედიას შემდეგ საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდებიდან თბილისის „დინამოში“ არც ერთი ფეხბურთელი არ მოხვედრილა.

ბოლო წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგები ვერ მოგვცა, არაჯანსაღი ატმოსფერო არა და არ ცხრება, მასპინძელი გუნდები და მათი ქომაგები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთ სტადიონებზე აუცილებლად მოიგონ თამაშები. მაშ რას უნდა მივაწეროთ თუნდაც მარტო ის, რომ შინ ჩასატარებელ მატჩზე არავინ ითხოვს ინსპექტორსა და კორესპონდენტს, მეტოქის მინდორზე კი აუცილებლად სურთ მათი დასწრება? პრესაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და სასჯელები (უტაქტობისთვის, ხშირად, ხულიგნობისთვის) აღიზიანებს როგორც ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ისე მოსახლეობას. რესპუბლიკის სპორტსახკომს და „ლელოს“ რედაქციას რეაგირების გარეშე არ დაუტოვებიათ არც ერთი დარღვევა, რომლებიც მათივე ინიციატივით იყო გამოვლენილი. მსაჯებზე აშკარა ზემოქმედება, როცა არც მექარა და არც ფიზიკური შეურაცხყოფა გამორიცხული არ არის, კვლავ გრძელდება. რაც უფრო ღრმად ვიხედებით გუნდების ცხოვრებაში, მით უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ საქართველოს პირველობა, ძირითადად მაინც, რაიონული მნიშვნელობის პრესტიჟის საქმე გახდა, გუნდები მთლიანად შემოიფარგლნენ თავიანთი ინტერესებით, თვით ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის ფეხბურთი იოლი ცხოვრების საშუალებად იქცა, ისინი საკუთარ თავზე მეტს ზრუნავენ, ვიდრე ქართულ ფეხბურთზე. ასაკოვანი სპორტსმენები ფეხბურთთან კავშირს არ წყვეტენ მხოლოდ იმიტომ, რომ აქვთ კარგი ანაზღაურება, მუშაობენ სარფიან ადგილებზე. იგივე ითქმის

იხ. მე-4 გვ.

# შენ ხარ სპორტი ...

## ოლიმპიური რეტროსპექტივა

⊙ **ანტიკური** ოლიმპიადების აღორძინების იდეა ეკუთვნის ფრანგ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს პიერ დე კუბერტენს (1863–1937). გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულ იქნა პარიზში 1894 წლის 16–24 ივნისს, ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე.

⊙ **აღნიშნულ** კონგრესზე მიღებულ იქნა ოლიმპიური ქარტია ანუ ოლიმპიური თამაშების წესდება (ოფიციალურად მას „ოლიმპიური თამაშების ძირითად პრინციპებს, წესებს და დებულებას" უწოდებენ).

⊙ **ოლიმპიური** ემბლემა წარმოადგენს ხუთ ერთმანეთში გადაჭდობილ რგოლს და დევიზს — „სწრაფად, მაღლა, ძლიერ". რგოლების იდეა პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის, დევიზისა კი მის მეგობარს და თანამოაზრეს დიდონს.

⊙ **ხშირად** ამბობენ, რომ ემბლემის რგოლების ფერი მსოფლიოს ხუთი მატერიკის სიმბოლურ ფერებს გამოხატავსო (ცისფერი — ევროპას, ყვითელი — აზიას, მწვანე — ავსტრალიას, წითელი — ამერიკას და შავი— აფრიკას). არ არის სწორი. თვითონ კუბერტენის განმარტებით ხუთი სხვადასხვა ფერი (მეექვსე — თეთრი) შეესატყვისება იმ ქვეყნის ეროვნული ალმების ფერებს, რომლებმაც ოლიმპიზმის იდეებს თანაუგრძნეს და მიიღეს.

⊙ **ოლიმპიური** ალამი (თეთრი ფერის დროშა, რომელზეც აღბეჭდილია ხუთი ერთმანეთში გადაჭდობილი სხვადასხვა ფერის რგოლი) პირველად აფრიალდა 1914 წელს პარიზში, ოლიმპიური თამაშების აღორძინების 20 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე.

⊙ **ოლიმპიური** ქარტიის თანახმად თამაშებში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცემათ ვერცხლის მედალი, რომელიც 6 გრამ წმინდა ოქროშია ამოვლებული. ამ მედალს ჩვეულებრივ ოქროს მედალს უწოდებენ.

⊙ **თამაშების** ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს (გახსნის ცერემონიალის ჩათვლით), მაგრამ ზოგჯერ ეს წესი ირღვევა ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიზეზით. ასეთი დარღვევა უსათუოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან უნდა შეთანხმდეს.

⊙ **პირველი** და მეორე მსოფლიო ომების მიზეზით არ ჩატარდა სამი ოლიმპიური თამაშები. 1916 წელს — ბერლინის, 1940 წელს — ჰელსინკის და 1944 წელს — ლონდონის. მომდევნო წლებში ამ ქალაქებმა ეს დანაკლისი აინაზღაურეს.

⊙ **პირველი** თამაშები, რომლებშიც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტმა მიიღო მონაწილეობა, იყო ლონდონის IV ოლიმპიადა (1908 წელი).

⊙ **თანამედროვე** ციკლის პირველ ოლიმპიურ ჩემპიონად ითვლება ამერიკელი მძლეოსანი ჯეიმს კონოლი, რომელმაც 1896 წელს ათენში სამხტომელთა შეჯიბრება მოიგო (13 მ. 71 სმ).

⊙ **ოთხი** ოლიმპიური ოქროს მედალი პირველად 1900 წლის თამაშებში ამერიკელმა მძლეოსანმა ალვინ კრეინცლეინმა მოიგო. მან გაიმარჯვა 60 (7,0) და 200 (25,4) მეტრზე რბენაში, 110 მეტრზე თარჯრბენში (15,4) და სიგრძეზე ხტომაში (7,18 მ).

⊙ **ქალთა** ოლიმპიური დებიუტი შედგა 1900 წელს პარიზის II თამაშებში (ჩოგბურთი და გოლფი).

⊙ **პირველი** ქალი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ინგლისელი ჩოგბურთელი შარლოტა კუპერი გახლდათ (1900 წ.). იგი უძლიერესი იყო ერთეულთა და შერეულ წყვილთა თანრიგში.

⊙ **ოლიმპიურ** ცეცხლს სტადიონზე თამაშების გახსნის დღეს ტრადიციულად ვაჟები ანთებდნენ. წესი პირველად დაირღვა 1968 წელს მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე. ეს დიდი პატივი წილად ხვდა მექსიკელ მძლეოსანს ენრიკეტა ბასილიო სოტელოს.



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველი შემადგენლობა.

**საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა. მას შემდეგ ჩვენმა ოლიმპიელებმა ზაფხულის თამაშებში 878 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 340 ოქროს, 288 ვერცხლის და 250 ბრინჯაოსი.**

**სეულის XXIV ოლიმპიადაზე მედლების 237 კომპლექტი გათამაშდება. პირველი მედლების მფლობელები უკვე ოლიმპიადის მეორე დღეს, 18 სექტემბერს გაირკვევა.**

### დღეს, 17 სექტემბერს ოლიმპიადაზე:

**XXIV ოლიმპიადის საზეიმო გახსნა;**

**შეჯიბრებებს დაიწყებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, წყალში მხტომელები და ფეხბურთელები.**

**ცისფერ ეკრანზე:**

**15.20–19.00 ოლიმპიადის საზეიმო გახსნა (ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამა); 20.55–22.00 წყალში ხტომა და კრივი (2); 22.50–02.00 წყალში ხტომა და კრივი (2).**



## სეული მზად არის

**სეულის** ოლიმპიადამდე ყველაზე ბევრი მონაწილე მიუნჰენის XX ოლიმპიადაში ასპარეზობდა— 7830 კაცი. XXIV ოლიმპიურ თამაშებში 10 ათასზე მეტი სპორტსმენი გამოვა.

**როგორც** სპეციალისტები და მიმომხილველები ამტკიცებენ, სეულის თამაშები ყველაზე ძვირადღირებული ოლიმპიადა იქნება. ჯერ მარტო ოლიმპიური ბაზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ორგანიზატორებს მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

**სპორტსმენთა,** ტურისტთა და ოფიციალურ პირთა უსაფრთხოებას 100 ათასზე მეტი პოლიციელი, არმიისა და სპეცსამსახურის წარმომადგენელი დაიცავს.

**ოლიმპიადის** მიმდინარეობას გააშუქებს 6 ათასამდე ჟურნალისტი და 10 ათასამდე ტელე და რადიოს მუშაკი. მარტო ენ-ბი-სის ტელეკომპანიას სეულში 1300 კომენტატორი და ტექნიკური პერსონალი ეყოლება.

**ოლიმპიური** სოფლის საჭიროებისთვის გამოიყო 14 ათასი საწოლი, ორ ათასზე მეტი მაგიდა და ხუთ ათასამდე კარადა.

**სპორტულ** შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების ოფიციალური ფასი 3-დან 55 დოლარამდე მერყეობს, ყველაზე ძვირია ბილეთები (გახსნისა და დახურვის ცერემონიალის შემდეგ) მოკრივეთა ფინალურ ტურნირზე, ყველაზე იაფი კი სინქრონული ცურვის ოსტატთა გამოსვლებზე.

**XXIV ოლიმპიადაზე** მედლების 237 კომპლექტი გათამაშდება. 151 — ვაჟთა შორის, 72 ქალებში და 14 შერეულ წყვილთა შორის.

**არის სახეობები,** რომლებიც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი: მძლეოსან ქალთა შეჯიბრება 10 000 მეტრზე რბენაში, მშვილდოსან ქალთა და ვაჟთა გუნდური შეჯიბრება (ცალ-ცალკე), ველოსპორტი — ქალთა სპრინტი, სინქრონულ ცურვაში — ერთეულთა შეჯიბრებები, ჩოგბურთში — ერთეულთა და წყვილთა გამოსვლები, პნევმატური პისტოლეტით სროლა (ქალები და ვაჟები), აფროსნობის პროგრამაში შეტანილია ქალთა რბოლა „470" კლასში. ძიუდოს პროგრამიდან კი ამოღებულია აბსოლუტური კატეგორია.

## საფეხბურთო ტურნირზე

სეულის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში 4 წინასწარი ჯგუფია შექმნილი:

**„ა" ჯგუფი.** ჩინეთი, გფრ, შვეცია, ტუნისი.

**„ბ" ჯგუფი.** ზამბია, ერაყი, იტალია, გვატემალა.

**„ც" ჯგუფი.** სამხრეთ კორეა, სსრ კავშირი, აშშ, არგენტინა.

**„დ" ჯგუფი.** ბრაზილია, ნიგერია, ავსტრალია, იუგოსლავია.

მატჩები ჩატარდება სამხრეთ კორეის სხვადასხვა ქალაქში, ჯგუფური ტურნირების კალენდარი ასეთია:

**„ა" ჯგუფი.** ჩინეთი–გფრ (პუსანი, 17 სექტემბერი), შვეცია — ტუნისი (ტეგუ, 17), შვეცია —ჩინეთი (ტეგუ, 19), ტუნისი — გფრ (ტეგუ, 19), ტუნისი — ჩინეთი (პუსანი, 21), შვეცია — გფრ (ტეგუ, 21).

**„ბ" ჯგუფი.** ზამბია — ერაყი (ტეჯონი, 17), იტალია — მექსიკა (კვანჯუ, 17), ერაყი — მექსიკა (ტეჯონი, 19), ზამბია — იტალია (კვანჯუ, 19), ზამბია — მექსიკა (კვანჯუ, 21), ერაყი — იტალია (სეული, 21).

**„ც" ჯგუფი. სამხრეთ კორეა — სსრ კავშირი** (პუსანი, 18), აშშ — არგენტინა (ტეგუ, 18), სამხრეთ კორეა — აშშ (პუსანი, 20), **სსრ კავშირი — არგენტინა** (ტეგუ, 20), სამხრეთ კორეა — არგენტინა (პუსანი, 22), **სსრ კავშირი — აშშ** (ტეგუ, 22).

**„დ" ჯგუფი.** ბრაზილია — ნიგერია (ტეჯონი, 18), ავსტრალია— იუგოსლავია (კვანჯუ, 18), იუგოსლავია — ნიგერია (ტეჯონი, 20), ავსტრალია — ბრაზილია (სეული, 20), იუგოსლავია — ბრაზილია (ტეჯონი, 22), ავსტრალია — ნიგერია (ტეჯონი, 22).

## ყველა სპორტსმ...

**ოლიმპიური** თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპორტსმენთა ფიცს, რომელსაც ტრადიციისამებრ ორგანიზატორი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი წარმოთქვამს. პირველად ამ ფიცის ტექსტი 1920 წელს დამტკიცდა და 20 აპრილს ანტვერპენის თამაშების გახსნაზე ბელგიელმა მოფარიკავემ ვიქტორ ბუანმა წარმოთქვა. ოლიმპიური ფიცის სიტყვები ასეთია: „ყველა სპორტსმენის სახელით მე ვდებ პირობას, რომ ოლიმპიურ თამაშებში ვიასპარეზებთ პატიოსნად, ამ შეჯიბრების წესებისადმი პატივისცემით, რაინდული სულისკვეთებით სპორტის სადიდებლად და ჩვენი გუნდების ღირსების დასაცავად".

**ოლიმპიური ფიცის ქრონოლოგია ასეთია:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1920 წ. | ანტვერპენი | ვიქტორ ბუანი | მოფარიკავე |
| 1924 წ. | პარიზი | ჟორჟ ანდრე | მძლეოსანი |
| 1928 წ. | ამსტერდამი | პარი დენისი | ფეხბურთელი |
| 1932 წ. | ლოს-ანჯელესი | ჯორჯ კელნენი | მოფარიკავე |
| 1936 წ. | ბერლინი | რუდოლფ ისმაირი | ძალოსანი |
| 1948 წ. | ლონდონი | დონალდ ფინლეი | მძლეოსანი |
| 1952 წ. | ჰელსინკი | ჰეიკი სავოლაინენი | ტანმოვარჯიშე |

## სსრ კავშირი, აშშ, გდრ...

**1952 წლიდან** მოყოლებული ოლიმპიადების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობისთვის უმთავრესად ორი ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული დელეგაციები იბრძვიან, ჰელსინკში ორივე მეტოქემ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა და პირველი–მეორე ადგილები გაიყო. მას შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში ხუთი ოლიმპიადა მოიგეს, ამერიკელებმა კი ერთი (1968 წელს მეხიკოში). 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაში აშშ, როგორც ცნობილია, არ მონაწილეობდა. 1984 წელს ლოს-ანჯელესის თამაშებში არ გამოსულან საბჭოთა სპორტსმენები. წლეულს, 12-წლიანი შესვენების შემდეგ, აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ოლიმპიურ სარბიელზე. და კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი: 1976 წელს მონრეალის XXI ოლიმპიადაზე აშშ-ს ოლიმპიურ დელეგაციას მეორე ადგილი გდრ-ის სპორტსმენებმა „წაართვეს".

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია აგრეთვე ამ ქვეყნების სპორტსმენებმა რამდენი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1952. სსრ კავშირი | 22 | 30 | 19 | 494 |
| აშშ | 40 | 19 | 17 | 494 |
| 1956. სსრ კავშირი | 37 | 29 | 32 | 622,5 |
| აშშ | 32 | 25 | 17 | 497,5 |
| 1960. სსრ კავშირი | 43 | 29 | 31 | 682,5 |
| აშშ | 34 | 21 | 16 | 463,5 |
| 1964. სსრ კავშირი | 30 | 31 | 35 | 607,8 |
| აშშ | 36 | 26 | 28 | 581,8 |
| 1968. სსრ კავშირი | 29 | 32 | 30 | 590,8 |
| აშშ | 45 | 28 | 34 | 713,3 |
| 1972. სსრ კავშირი | 50 | 27 | 22 | 364,[illegible] |
| აშშ | 33 | 31 | 30 | 638,5 |
| 1976. სსრ კავშირი | 49 | 41 | 35 | 792,5 |
| გდრ | 40 | 25 | 25 | 638 |
| 1980. სსრ კავშირი | 80 | 69 | 46 | 12[illegible] |
| გდრ | 47 | 37 | 42 | 836 |



**ოლიმპიური** თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ყოველ დელეგაციას, ტრადიციულად, წინ მოუძღვის მედროშე — საუკეთესო სპორტსმენი, რომელსაც ამ საპატიო მისიას არჩევით აკისრებენ. 1964 წელს ტოკიოში საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციას წინ მოუძღოდა პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ადამიანი, ცნობილი ძალოსანი იური ვლასოვი. მან ტოკიოშიც კარგად იასპარეზა, მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი და XVIII თამაშების ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად იქნა აღიარებული.

# შენ ხარ მშვიდობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა
GAMES OF THE XXIVTH OLYMPIAD SEOUL 1988

## ...ენის სახელით...

| | | |
|---|---|---|
| 1956 წ. მელბურნი | ჯონ ლენდი | მძლეოსანი |
| 1960 წ. რომი | ადოლფო კონსოლინი | მძლეოსანი |
| 1964 წ. ტოკიო | ტაკაში ონო | ტანმოვარჯიშე |
| 1968 წ. მეხიკო | პაბლო გარიდა | მძლეოსანი |
| 1972 წ. მიუნჰენი | ჰაიდი შიულერი | მძლეოსანი |
| 1976 წ. მონრეალი | პიერ სენ-ჟანი | ძალოსანი |
| 1980 წ. მოსკოვი | ნიკოლოზ ანდრიანოვი | ტანმოვარჯიშე |

ოდნავ უფრო გვიან საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ტრადიციას — მსაჯთა ოლიმპიურ ფიცს, რომლის ტექსტი ასეთია: „პირობას ვდებ, რომ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ პირნათლად, ვიქნებით მიუკერძოებელნი, მტკიცედ დავიცავთ ასპარეზობის წესებს და ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთების პრინციპებს".

1980 წლის მოსკოვის თამაშებზე მსაჯთა ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა წარსულში სახელმოხვეჭილმა მოჭიდავემ, ოლიმპიური თამაშების სამგზის და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მედვედმა.



**მოსკოვის ოლიმპიური თამაშები. ფიცის სიტყვებს წარმოთქვამენ: სპორტსმენთა სახელით — ნიკოლოზ ანდრიანოვი (მარცხნივ), მსაჯთა სახელით — ალექსანდრე მედვედი (მარჯვნივ).**

## ყველაზე... ყველაზე

**ოლიმპიური** თამაშების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონად მძლეოსანი ულრიკე მეიფარტი (გფრ) ითვლება. ოლიმპიური ოქროს მედალი სიმაღლეზე ხტომაში მან მოიპოვა 1972 წელს მიუნჰენში, როცა 16 წლისა იყო. თორმეტი წლის შემდეგ ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიურ თამაშებში მეიფარტმა ეს მიღწევა გაიმეორა.

**თამაშებში** ხშირად ხანდაზმული სპორტსმენებიც გამოდიან. ოლიმპიადის ერთ-ერთი ასეთი მონაწილე გახლდათ ამერიკელი ჯონ დენი, რომელიც 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზე საკმაოდ რთულ სახეობაში — 50 კილომეტრზე სიარულში ასპარეზობდა. დენი მაშინ 49 წლისა და 74 დღისა იყო.

**ვეტერან** ოლიმპიელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ინგლისელი ტებე ლოიდ-ჯონსონი, რომელმაც 1948 წლის თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (ასევე 50 კილომეტრზე სიარულში), ქალებში — ჩეხოსლოვაკიელი დანა ზატოპკოვა. 1960 წელს რომში, 37 წლისამ შუბის ტყორცნაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

**ოქროს** მედლები მოპოვებული აქვთ 42 წლის ამერიკელ მძლეოსანს პეტ მაკდონალდს 1920 წლის ოლიმპიადაზე და 36 წლის ლია მანოლიუს მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში.

**სხვათა** შორის, ცნობილი საბჭოთა მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილი 40 წლისა იყო, როცა ჰელსინკში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

# საქართველოს ოლიმპიელები

**XV ოლიმპიადა.** 1952 წელი, ჰელსინკი (19 ივლისი — 3 აგვისტო). თოთხმეტმა მონაწილემ სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადაზე გამოვიდნენ: დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), მედეა ჯუღელი (ტანვარჯიში), ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი), ლევან სანაძე, ნადეჟდა ხნიკინა, ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი (ყველა — მძლეოსნობა), ავთანდილ ღოღობერიძე და ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი), ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა), ოთარ დადუნაშვილი (ველოსპორტი), აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა).

**XVI ოლიმპიადა.** 1956 წელი, მელბურნი (22 ნოემბერი — 8 დეკემბერი). ათმა მონაწილემ ორი ოქროს და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), მირიან ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ვახტანგ ბალავაძე და გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რომან ძნელაძე (კლასიკური ჭიდაობა), ნადეჟდა დვალიშვილი (მძლეოსნობა), ბორის ნიკიტინი (ცურვა), ნოდარ გვახარია (წყალბურთი), რევაზ ცირეკიძე და იური ოსიპოვი (ფარიკაობა).

**XVII ოლიმპიადა.** 1960 წელი, რომი (25 აგვისტო — 11 სექტემბერი). თექვსმეტმა მონაწილემ ორი ოქროს, ხუთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა), ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა), გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი), გივი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე (წყალბურთი), გიორგი სხირტლაძე, ვლადიმერ რუბაშვილი და ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა), გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), გურამ კოსტავა და ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა), ბორის ნიკიტინი (ცურვა), ალექსანდრე შჩერბინა, რევაზ ქვაჩაკიძე და იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა).

**XVIII ოლიმპიადა,** 1964 წელი, ტოკიო (10-24 ოქტომბერი). თვრამეტმა მონაწილემ ორი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა), ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი), გურამ სალარაძე, ნოდარ ხოხაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი და შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა), რომან რურუა, დავით გვანცელაძე და როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა), შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა), ლევან მოსეშვილი (კალათბურთი), ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო), გურამ კოსტავა (ფარიკაობა), რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა), ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა), ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა), ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი).

**XIX ოლიმპიადა,** 1968 წელი, მეხიკო (12-27 ოქტომბერი). თოთხმეტმა მონაწილემ ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა), დიტო შანიძე (ძალოსნობა), შოთა ლომიძე და ზარიბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო (კალათბურთი), შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა), ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი), ლიუდმილა იევლევა, გურამ გუდაშვილი და იგორ დელა-როსა (მძლეოსნობა), ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა), თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა).

**XX ოლიმპიადა,** 1972 წელი, მიუნჰენი (26 აგვისტო — 11 სექტემბერი). თექვსმეტმა მონაწილემ ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო), ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია (კალათბურთი), ვიქტორ კრატასიუკი (საბაიდარო ნიჩბოსნობა), დიტო შანიძე (ძალოსნობა), ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი), გივი ონაშვილი და გურამ გოგოლაური (ძიუდო), მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი), ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა), ჯემალ მეგრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა), გოგი ნასყიდაშვილი (საბაიდარო სლალომი).

**XXI ოლიმპიადა,** 1976 წელი, მონრეალი (17 ივლისი — 1 აგვისტო). თერთმეტმა მონაწილემ სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), რამაზ ხარშილაძე, შოთა ჩოჩიშვილი და ოლეგ ზურაბიანი (ძიუდო), მიხეილ ქორქია (კალათბურთი), იგორ კუშპელიოვი და იგორ ომელჩენკო (ცურვა), ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთი), მარლენ პაპავა (ტყვიის სროლა).

**XXII ოლიმპიადა,** 1980 წელი, მოსკოვი (19 ივლისი — 3 აგვისტო). თექვსმეტმა მონაწილემ სამი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვახტანგ ბლაგიძე (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ხაბარელი (ძიუდო), ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), ვიქტორ სანეევი და საიდა გუნბა (მძლეოსნობა), თემურ ხუბულური (ძიუდო), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა), ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი), ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი), თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა), დავით ქავჭაძე (კრივი), ირინა გერასიმოვა (ცურვა).

**XXIV ოლიმპიადა.** 1988 წ. სეული (17 სექტემბერი — 2 ოქტომბერი). თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 16 სპორტსმენი საქართველოდან.

**მაია აზარაშვილი** (მძლეოსნობა, სპრინტი). დაიბადა 1964 წ. 6 აპრილს. პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი.

**ვლადიმერ აფციაური** (ფარიკაობა, რაპირა). დაიბადა 1962 წ. 4 თებერვალს. „დინამო", თბილისი.

**გურამ გედეხაური** (კლასიკური ჭიდაობა). დაიბადა 1963 წ. 24 ოქტომბერს. პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი.

**მიხეილ გიორგაძე** (წყალბურთი). დაიბადა 1961 წ. 14 მარტს. „დინამო", თბილისი.

**დავით გოგეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა). დაიბადა 1963 წ. 13 აპრილს. „დინამო", თბილისი.

**ვლადიმერ გოგოლაძე** (ტანვარჯიში). დაიბადა 1966 წ. 18 აგვისტოს. პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი.

**გიორგი თენაძე** (ძიუდო). დაიბადა 1962 წ. 24 მაისს. შეიარაღებული ძალები, თბილისი.

**ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი). დაიბადა 1964 წ. 5 აპრილს. შეიარაღებული ძალები. თბილისი.

**თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა, მრგვალი სტენდი). დაიბადა 1954 წ. 28 ივლისს. „დინამო", თბილისი.

**ბელა კეტაშვილი** (ფეხბურთი). დაიბადა 1965 წ. 27 სექტემბერს. „დინამო", თბილისი.

**ლეილა მესხი** (ჩოგბურთი). დაიბადა 1968 წ. 4 იანვარს. პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი.

**ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა). დაიბადა 1969 წ. 1 თებერვალს. შეიარაღებული ძალები, თბილისი.

**ამირან ტოტიკაშვილი** (ძიუდო). დაიბადა 1969 წ. 21 ივლისს. შეიარაღებული ძალები, თბილისი.

**ქრისტინა ფალასანიძე** (სინქრონული ცურვა). დაიბადა 1970 წ. 31 ივლისს, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი.

**გიორგი ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა, კოშკი). დაიბადა 1969 წ. 25 აპრილს. „დინამო", თბილისი.

**ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა). დაიბადა 1964 წ. 5 ივლისს. „შრომითი რეზერვები", თბილისი.

# პრიზიორები

**საქართველოს** სპორტსმენებს მონაწილეობა აქვთ მიღებული რვა ოლიმპიურ თამაშებში (1952-1980 წწ.) და მოიპოვეს 72 ოლიმპიური მედალი. მათ შორის ოცდასამი — ოქროსი, ოცი — ვერცხლისა და ოცდაცხრა — ბრინჯაოსი.

საქართველოს ოლიმპიელთა შორის ყველაზე გამორჩეული შედეგი ვიქტორ სანეევს აქვს. ოთხ ოლიმპიადაში მან 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ლევან თედიაშვილი ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონია.

გთავაზობთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს რომელ ოლიმპიადაში რამდენი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მიიღეს საქართველოს სპორტსმენებმა:

| | | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1952 | ჰელსინკი | 3 | 3 | 2 |
| 1956 | მელბურნი | 2 | — | 6 |
| 1960 | რომი | 2 | 5 | 3 |
| 1964 | ტოკიო | 2 | 4 | 5 |
| 1968 | მეხიკო | 2 | 2 | 2 |
| 1972 | მიუნჰენი | 6 | 1 | 4 |
| 1976 | მონრეალი | 3 | 1 | 2 |
| 1980 | მოსკოვი | 3 | 4 | 5 |

**ოქროს მედლები**

1952 წ. დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), მედეა ჯუღელი (ტანვარჯიში).

1956 წ. გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), მირიან ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა).

1960 წ. ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა), რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა).

1964 წ. ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა), ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი).

1968 წ. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა).

1972 წ. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო), ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი), მიხეილ ქორქია (კალათბურთი), ვიქტორ კრატასიუკი (ნიჩბოსნობა).

1976 წ. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი).

1980 წ. ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), შოთა ხაბარელი (ძიუდო), ვახტანგ ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა).

**ვერცხლის მედლები**

1952 წ. ოთარ ქორქია (კალათბურთი), ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი), ლევან სანაძე (მძლეოსნობა).

1960 წ. გურამ მინაშვილი (კალათბურთი), ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი), გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა), გივი ჩიქვანაია (წყალბურთი), ლერი გოგოლაძე (წყალბურთი).

1964 წ. გურამ სალარაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა), შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა), ლევან მოსეშვილი (კალათბურთი).

1968 წ. დიტო შანიძე (ძალოსნობა), შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა).

1972 წ. დიტო შანიძე (ძალოსნობა).

1976 წ. რამაზ ხარშილაძე (ძიუდო).

1980 წ. ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), საიდა გუნბა (მძლეოსნობა), თემურ ხუბულური (ძიუდო), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი).

**ბრინჯაოს მედლები**

1952 წ. ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა), ნადეჟდა ხნიკინა (მძლეოსნობა).

1956 წ. ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რომან ძნელაძე (კლასიკური ჭიდაობა), ნადეჟდა დვალიშვილი (მძლეოსნობა), ბორის ნიკიტინი (ცურვა), ნოდარ გვახარია (წყალბურთი).



**ვიქტორ სანეევი მოსკოვის XXII ოლიმპიადაზე.**

1960 წ. ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), გურამ კოსტავა (ფარიკაობა).

1964 წ. ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა), ანზორ კიკნაძე (ძიუდო), ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო), გურამ კოსტავა (ფარიკაობა).

1968 წ. ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი), სერგეი კოვალენკო (კალათბურთი).

1972 წ. ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი), გივი ონაშვილი (ძიუდო), მურთაზ ხურცილავა (ფეხბურთი), რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი).

1976 წ. შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო), მიხეილ ქორქია (კალათბურთი).

1980 წ. ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა), ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი), ალექსანდრე ჩივაძე (ფეხბურთი), თენგიზ სულაქველიძე (ფეხბურთი), რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი).

# ცხოვრებით ნაკარნახევი რეფორმა

(დასასრული)

მწვრთნელებზეც. ერთი სიტყვით, იკარგება ქართული ფეხბურთის წინსვლის ყოველგვარი სტიმული. ამიტომაც არის, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო გუნდები სავსეა გადაზრდილი, უპერსპექტივო მოთამაშეებით, რომელთაგან ბევრის ასაკი 30-40 წელია. ისინი გუნდში მოხვედრის გზას უკეტავენ ყმაწვილებს, ნიჭიერ ბიჭებს, რომლებიც ან საერთოდ ანებებენ ფეხბურთს თავს, ან თავისთვის თამაშობენ თავისუფალ დროს.

ძნელი, ძალიან ძნელი მოსავლელი გახდა ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მსაჯობა, თამაშებზე ინსპექტორების გამოყოფა, ყველა მატჩისთვის თვალყურის მიდევნება. პირველობაში 100-ზე მეტი გუნდი მონაწილეობს, ამას კი ასი თვალი და ასი ყური უნდა. არ გვყოფნის მსაჯები, ინსპექტორები, ფეხბურთის სამმართველო არსებითად ვერ მართავს ჩემპიონატს, ფიზკულტურულ და სამართალდაცვის ორგანოებს უძნელდებათ სტადიონებზე წესრიგის დაცვა. „ლელომ“ ამ დღეებში გამოაქვეყნა საქართველოს სპორტული რუკა. მასზე აღბეჭდილია ის ქალაქები და რაიონები, რომლებმაც სპორტსმენები აღუზარდეს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. „რატომ არ ვუფიქრდებით იმას, რომ რაიონებში ფეხბურთის გარდა არავის არაფერი უნდა, სხვა სახეობები მივიწყებულია? ასე რომ არ იყოს, მაშინ იმ სპორტულ რუკაზეც ამდენი თეთრი ლაქა აღარ იქნებოდა, ამაზეც დაფიქრდით“. — გვწერს ბ. კიკნაძე ხაშურის რაიონიდან. სამართლიანი შენიშვნაა და ეს არის არა მხოლოდ ერთი რომელიმე პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოებრიობის აზრი.

როგორც ჩანს, საფეხბურთო სენი მარტო ჩვენი სატკივარი არ არის. ვიცით ფაქტები, როცა ბევრ სხვა ქვეყანაში ან სრულიად დაუშლიათ გუნდები და ყველაფერი თავიდან დაუწყიათ, ან ძალზე რადიკალური ზომები გაუტარებიათ საფეხბურთო კლიმატის გაჯანსაღებისთვის. მაგრამ, ცხადია, ჩვენ ჩვენი საფიქრალ-სადარდელი გვაქვს. რა უნდა ვილონოთ ასეთ ვითარებაში — დავრჩეთ ზედამხედველის როლში თუ რადიკალურად ვიმოქმედოთ და... ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? ასეა თუ ისე, მეტის მოთმენა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა, ახლა თვით ცხოვრებამ მიგვიყვანა საფეხბურთო რეფორმა-რეორგანიზაციის აუცილებლობამდე. და აი, ჩვენი აზრით, მოინახა ერთადერთი გამოსავალი — მიღებულია საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილება, რომელმაც რადიკალურად უნდა შეცვალოს საქართველოს ფეხბურთისადმი საერთო დამოკიდებულება.

## კოლეგიამ დაადგინა

**1. 1989 წლისათვის გაუქმდეს საქართველოს პირველობის III ჯგუფი და ზონალური გათამაშება. ფეხბურთში საქართველოს 1989 წლის ჩემპიონატი ჩატარდეს ორ ჯგუფად, აქედან I ჯგუფის შეჯიბრების ჩატარება დაეკისროს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს, ხოლო II ჯგუფისა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს. დანარჩენი გუნდები გადაყვანილ იქნენ საქალაქო და რაიონული პირველობების გათამაშებებში, რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონატის დაწყებით ეტაპად ჩაითვალოს.**

**2. ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელთა გამოსავლენად, მათთან ადგილებზე გეგმაზომიერი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვისა და შემდგომი დასხტატებისთვის 1989 წელს საქართველოს ჩემპიონატის I და II ჯგუფებში თამაშის უფლება მიეცეს მხოლოდ 24 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს.**

**3. იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ყველა უმთავრეს საფეხბურთო რეგიონს დღეისთვის ჰყავს ოსტატთა გუნდი, ამასთანავე, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში შექმნილი დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვისა და არაჯანსაღი აჟიოტაჟის აღკვეთის მიზნით, წელს და მომავალი ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონი არ იქნეს გადაყვანილი საკავშირო ჩემპიონატის გათამაშებაში.**

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 3:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „ურალანი“ (ელისტა) — „ლუჩი“ (აზოვი) 2:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „სპარტაკი“ (ანაპა) 2:0, „ისკრა“ (ერევანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 2:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:0.

### გათამაშების ცხრილები

#### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 31 | 16 | 7 | 8 | 47-34 | 39 |
| „სპარ.“ ოქ. | 30 | 16 | 4 | 10 | 67-37 | 36 |
| „ლოკომ.“ | 31 | 16 | 4 | 11 | 44-39 | 36 |
| „ცემენტი“ | 28 | 14 | 7 | 7 | 36-27 | 35 |
| „სპარ.“ ტმ. | 30 | 16 | 2 | 12 | 42-42 | 34 |
| „სპარ.“ ნჩ. | 27 | 15 | 3 | 9 | 40-25 | 33 |
| „მერცხალი“ | 30 | 15 | 2 | 13 | 41-43 | 32 |
| „კოლხეთი“ | 30 | 14 | 4 | 12 | 43-46 | 32 |
| „ლორი“ | 29 | 14 | 4 | 11 | 39-42 | 32 |
| „დინამო“ | 31 | 13 | 6 | 12 | 41-37 | 32 |
| „დრუჟბა“ | 30 | 13 | 6 | 11 | 44-31 | 32 |
| „მეტალ.“ | 29 | 13 | 6 | 10 | 50-29 | 32 |
| „მაშუკი“ | 29 | 9 | 9 | 11 | 31-32 | 27 |
| „ურალანი“ | 30 | 11 | 4 | 15 | 46-44 | 26 |
| „ისკრა“ | 31 | 11 | 3 | 17 | 34-58 | 25 |
| „ლუჩი“ | 31 | 10 | 5 | 16 | 29-35 | 25 |
| „ვოლგარი“ | 30 | 10 | 3 | 17 | 31-42 | 23 |
| „სპარ.“ ან. | 30 | 10 | 2 | 18 | 32-45 | 22 |
| „ნარტი“ | 30 | 8 | 6 | 16 | 34-48 | 22 |
| „ოლიმპია“ | 29 | 8 | 5 | 16 | 30-57 | 21 |

#### IX ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ.“ ქ. | 23 | 19 | 3 | 1 | 55-14 | 41 |
| „ქიაფაზი“ | 23 | 17 | 1 | 5 | 66-21 | 35 |
| „სოკოლი“ | 22 | 15 | 4 | 3 | 53-22 | 34 |
| „მეტალ.“ | 23 | 15 | 4 | 4 | 53-25 | 34 |
| „გოიაზანი“ | 23 | 11 | 4 | 8 | 40-28 | 26 |
| „დილა“ | 23 | 11 | 3 | 9 | 39-41 | 25 |
| „ტექსტილ.“ | 22 | 9 | 5 | 8 | 35-26 | 23 |
| „ატომმაში“ | 23 | 9 | 5 | 9 | 33-33 | 23 |
| „დინამო“ | 23 | 9 | 3 | 11 | 31-33 | 21 |
| „თერგი“ | 21 | 8 | 4 | 9 | 30-31 | 20 |
| „ხაზარი“ | 23 | 7 | 5 | 11 | 24-40 | 19 |
| „შევ.“-სპი | 23 | 7 | 4 | 12 | 28-49 | 18 |
| „ლოკომ.“ | 23 | 5 | 4 | 14 | 23-46 | 14 |
| „ლოკ.“-ომც. | 23 | 5 | 3 | 15 | 25-51 | 13 |
| „ტორპ.“ ვ. | 23 | 5 | 2 | 16 | 20-40 | 12 |
| „ბაკინეცი“ | 23 | 2 | 2 | 19 | 15-70 | 6 |

# სეულში გამგზავრების წინ

(დასასრული)

აი, ასე განაწილდება სეულის ოლიმპიადის მედლების 237 კომპლექტი.

| | |
|---|---|
| კალათბურთი | 2 (1+1) |
| კრივი | 12 |
| თავისუფალი ჭიდაობა | 10 |
| კლასიკური ჭიდაობა | 10 |
| ველოსპორტი | 9 (7+2) |
| ფრენბურთი | 2 (1+1) |
| სპორტული ტანვარჯიში | 14 (8+6) |
| მხატვრული ტანვარჯიში | 1 |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | 14 (8+6) |
| საბაიდარო ნიჩბოსნობა | 12 (9+3) |
| ძიუდო | 7 |
| ცხენოსნობა | 6 |
| მძლეოსნობა | 42 (24+18) |
| მაგიდის ჩოგბურთი | 4 (2+2) |
| აფროსნობა | 8 |
| ცურვა | 31 (16+15) |
| წყალში ხტომა | 4 (2+2) |
| სინქრონული ცურვა | 2 |
| წყალბურთი | 1 |
| ხელბურთი | 2 (1+1) |
| თანამედროვე ხუთჭიდი | 2 |
| სროლა | 13 (8+5) |
| მშვილდოსნობა | 4 (2+2) |
| ჩოგბურთი | 4 (2+2) |
| ძალოსნობა | 10 |
| ფარიკაობა | 8 (6+2) |
| ფეხბურთი | 1 |
| ბალახის ჰოკეი | 2 (1+1) |

**შენიშვნა: ფრჩხილებში ნაჩვენებია თუ რამდენი მედალი თამაშდება ვაჟთა (პირველი ციფრი) და ქალთა შორის.**

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

# დაუმარცხებლად...

**ახლახან** ოდესაში ჩატარდა ბეისბოლისტთა საკავშირო ტურნირი გაზეთ „ჩერნომორსკაია კომუნას“ პრიზზე.

თბილისის „ივერიის“ გულშემატკივრები ამ შეჯიბრების დებიუტს იმედიანად განაწყო და არც თუ უსაფუძვლოდ: თუ ადრე ამნაირ ტურნირებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, ამჯერად ოდესაში შეიკრიბნენ უკრაინის, მოლდავეთის, რსფსრ-ის, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და საქართველოს საკლუბო გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას, ცხადია, თბილისის „ივერია“ იცავდა (სხვათაგან განსხვავებით, ჩვენ ხომ სხვა გუნდი არ გვყავს).

თბილისელებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს ეს ტურნირი და პირველი ადგილი დაიკავეს. სპეციალისტების აზრით, ჩვენს გუნდში გამოირჩეოდნენ ხვიჩა ყაველაშვილი, ვახტანგ ბიბილაშვილი და დათო ხრიკაძე.

### სპორტის უჩინარი მსახურნი

# ეშერელი მასპინძლები

ამ ადამიანებს, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, მთელი საბჭოთა სპორტის და არა მარტო ჩვენი სპორტის ელიტა იცნობს. ეშერის ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსში გამუდმებით ცვლიან ერთმანეთს საბჭოთა ნაკრები გუნდები, ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად აქ ჩამოდიან უცხოელი სპორტსმენებიც. კომპლექსის ინტერნაციონალური კოლექტივის წარმომადგენლები მუდამ გულისხმიერად მასპინძლობენ მსოფლიოს სპორტის გამოჩენილ წარმომადგენლებს.



ალბათ, არც ერთი სპორტის გულშემატკივარი არ შეხვედრია პირისპირ იმდენ ცნობილ სპორტსმენს, რამდენსაც აქაური თანამშრომლები.

— 13 წელიწადია ამ ბაზაზე კვების ბლოკში ვმუშაობ, — ამბობს ბერძენი ქალი ნელი სოტირიდი და დასძენს: განა შეიძლება სპორტსმენს ყოველწლიურად რამდენიმე კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ-ოთხჯერ ხვდებოდე და მისი გულშემატკივარი არ გახდე?

ისინი, ვინც სპორტსმენთა კვებას ემსახურებიან, მწვრთნელებისა და ექიმების ნამდვილი თანაშემწეები არიან. ეს მათი წვლილიცაა იმ დიდ წარმატებებში, რასაც ჩვენი სპორტსმენები აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე.

წელს რამდენიმე ოლიმპიური ნაკრები გუნდი ემზადებოდა ეშერაში. თითოეულ სპორტსმენს, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, მზრუნველობას არ აკლებდნენ მასპინძლები. დღეს სეულში ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება: სპორტის უჩინარი მსახურნი ეშერაშიც მიუსხდებიან ტელევიზორებს, თვალყურს მიადევნებენ ნაცნობ სახეებს და სრული სიამაყით გაიზიარებენ მათი გამარჯვების სიხარულს.

**ეშერის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის მომსახურენი ტანია უხანოვა (მარცხნივ) და ნელი სოტირიდი.**

*ჯემალ კასრაძის ფოტო.*



## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

**გასულ** ოთხშაბათს ევროპაში გაიმართა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

**IV ჯგუფში** ევროპის ჩემპიონებმა — ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ამსტერდამში მიიღეს უელსის ნაკრები. მასპინძლებმა მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 1:0, ეს ერთადერთი ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელმა გულიტმა.

**VI ჯგუფში** ბელფასტში შედგა ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრა. ფრე — 0:0.

ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა ოსლოში მიიღეს შოტლანდიის ნაკრები (**V ჯგუფი**). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1 (1:1). ნორვეგიელთაგან ბურთი გაიტანა ფიორტოფტმა, ხოლო გამარჯვებულთაგან — მაკსთეიმ და ჯონსტონმა.

## ხაქმე საფეხბურთო ქრთამის თაობაზე

ჩეხოსლოვაკიის გაზეთები იუწყებიან, რომ ქალაქ ჩესკა-ლიპას სასამართლოში დამთავრდა სამსჯავრო პროცესი ვინმე ფრანტიშეკ მატეიკას მჭქინაციებზე, რომელიც 1979-1987 წლების განმავლობაში საფეხბურთო კლუბ „ვაგონკას“ ფინანსურ საქმეებს განაგებდა.

სასამართლო პროცესის მსვლელობაში დადგინდა, რომ მსჯავრდებულმა სხვადასხვა მაქინაციისა და ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურის კავშირის მოქმედი ინსტრუქციის დარღვევით ზედმეტი გადაუხადა ამ კლუბის მოთამაშეებს 108.000 კრონის რაოდენობით, გარდა ამისა, შექმნა ე. წ. „შავი ფონდი“ 70.000 კრონის ოდენობით, საიდანაც ქრთამის სახით 3-დან 15 ათას კრონამდე უხდიდა სხვა გუნდების მოთამაშეებს „ვაგონკას“ კლუბში გადასვლის საფასურად.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მსჯავრდებული უწინ არ ყოფილა სასამართლოში მიცემული, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა გარემოება და ფ. მატეიკას 2 წლის პატიმრობა მიუსაჯა, ამის შემდეგ მას 3 წლის მანძილზე აეკრძალა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა სპორტულ ორგანიზაციებში.

ამავე დროს ჩესკა-ლიპას სასამართლომ ფულადი ჯარიმა მიუსაჯა სპორტული კლუბების „სლოვან ელიტექსისა“ (ლიბერცი) და „სკლოიუნიონის“ (ტეპლიცა) მუშაკებს იმისთვის, რომ მათ ფ. მატეიკას ქრთამი მისცეს ამ გუნდების „ვაგონკასთან“ ჩატარებული ორი მატჩის შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად.

# უიღბლო დებიუტი

ფრიად წარუმატებელი გამოდგა ჩვენი ფეხბურთელის ალექსანდრე ზავაროვის დებიუტი იტალიის ქალაქ ტურინის „იუვენტუსში“. ეს გუნდი იტალიის თასზე შინ შეხვდა „ასკოლის“, ა. ზავაროვმა თამაშის დასაწყისშივე ტრავმა მიიღო თავისი გუნდის ერთ-ერთი იერიშისას, როცა მოძრაობა ვერ გამოზომა და მინდვრის მახლობლად მდგარ სარეკლამო ფარს შეეჯახა. მან კიდევ დაახლოებით რამდენიმე წუთი ითამაშა კოჭლობით, რის შემდეგ „იუვენტუსის“ უფროსმა მწვრთნელმა დინო ძოფმა იგი შეცვალა და ვეტერანი ანტონიო კაბრინი გამოიყვანა მინდორზე.

მაგრამ ესეც არაფერი, მასპინძელთა კარში მე-17 წუთზე საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, „იუვენტუსმა“ კედელი აღმართა, რომლის მარჯვენა ფლანგზე ზავაროვი დადგა. „ასკოლის“ თავდამსხმელის ძლიერი დარტყმა სწორედ მას მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ბადეში აღმოჩნდა. სტუმრებმა მეორე გოლი 30-ე წუთზე გაიტანეს და ტურინელთა ყველა ცდას შედეგი აღარ მოჰყოლია. „იუვენტუსი“ დამარცხდა ანგარიშით 0:2.

ამ მატჩში ტურინელთა შემადგენლობაში არ იყო 6 ძირითადი მოთამაშე, რომლებიც იტალიის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში გაემგზავრნენ სეულში.

მატჩისშემდგომი კომენტარისას დ. ძოფმა განაცხადა, რომ ა. ზავაროვზე, როგორც წამყვან მოთამაშეზე, იგი დიდ იმედს ამყარებდა, ხოლო კლუბის საპატიო პრეზიდენტმა ჯოვანი ანელიმ თქვა, რომ იგი კმაყოფილია ზავაროვის თამაშით, თუმცა, მან მხოლოდ მცირე ხანი დაჰყო მინდორზე. ექიმების აზრით ა. ზავაროვი ვერ ითამაშებს მომდევნო მატჩში „კომოსთან“ და ვარჯიშს 3-4 დღის შემდეგ განაახლებს.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 37-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 1988 წლის 11 სექტემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან.** გაიყიდა 1 375 414 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 3 218 მანეთია, ოთხისთვის (1820) — 34, სამისთვის (27762) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან.** გაიყიდა 13.943.124 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (6 028) — 119, სამისთვის (192 171) — 6.

37-ე ტირაჟების მოგებები გაიცემა 1988 წლის 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული ნანა იოსელიანის სახელობის საჭადრაკო კლუბი აცხადებს I-II-III-IV—კლასის მოსწავლე გოგონებისა და ბიჭების მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის.

ჯგუფების დაკომპლექტება იწარმოებს ა. წ. 15-ოქტომბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს.

მისამართი წერეთლის გამზირი 95-ა, პროფკავშირების მძლეოსნობის მანეჟი, ტელეფონი 34-76-19.

მიღება იწარმოებს ყოველ დღე გარდა შაბათ და კვირას 10-საათიდან 17-საათამდე.

ნორჩ მოჭადრაკეებთან იმუშავებენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელ-მასწავლებლები.

კლუბის მუშაობას კონსულტაციას გაუწევს საერთაშორისო დიდოსტატი ნანა იოსელიანი.

**რესპუბლიკური საბჭო.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10843